# სოციალური პედიატრია

Social Pediatrics

№45 ივნისი

ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის და ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის გაზეთი 2019წ.

Journals of Social Pediatrics Protection Fund and Georgian National Section of Euroscience


**ყველანი ერთად ახალი ძლიერი, სტაბილური, თავისუფალი ქართული სახელმწიფოს მშენებლობაში!**

## გილოცავთ ბავშვთა საერთაშორისო დღეს 1 ივნისს!




ბავშვთა უსაფრთხოება მეცნიერების გზით

1.06.08; 20.12.08; 23.12.08; 01.06.09; 19.12.09; 01.06.10; 03.12.10; 01.06.11; 23.12.11
01.06.12; 21.12.12; 1-4.06.13; 17-21.12.13; 1-2.06.14; 27-28.12.14; 1.06.15; 11-12.12.15; 1-6.06.16; 9-10.12.16; 1-2.06.17; 08.12.17; 01.06.18; 07.12.18; 01.06.19

**23.04.99 01.06.2000**
„ბავშვთა კვება XXI საუკუნეში“ სიმპოზიუმი №1 №2

**20.05.99 01.06.2000**
„ორთოპედიული სკოლა“
სიმპოზიუმი №1 №2

**17.12.99 01.06.2001 6.11.2002 27.02.2003**
„მუკოვისციდოზის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხები“

**01.06.2000–2001–2002–2003–2004 22.12.2007**
„ახალგაზრდა პედიატრთა XVIII-XXI კონფერენცია“

**28.02.2001**
„რესპირატორულ დაავადებათა თერაპიის აქტუალური საკითხები პედიატრიაში“

**01.06.2001**
„ბავშვი, მოზარდი და ოჯახური ძალადობა“
სიმპოზიუმი №1

**01.06.2001 30.05.2002 01.06.2003**
„ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული“
სიმპოზიუმი №1 №2 №3

**13.02.2002**
„ადამიანის გენომის პროექტი“

**10.03.2002**
ახალგორი. მატონიზირებელი სასმელი „ლომისის“ პრეზენტაცია

**5.11.2002 28.11.2002**
ხსოვნის საღამო №1 №2 „პროფ. ი. კვაჭაძე, პროფ. გ. ჟვანია“

**7.11.2002**
„თანდაყოლილი ინფექციების თანამედროვე ასპექტები“

**2.06.2008 - 01.06.2010; 01.06.2014**
საქართველოს მედდათა I კონგრესი, II კონგრესი, III კონგრესი

**25.XII.98**
I კონფერენცია „ჩვენთან ერთად ირწმუნე უკეთესი მომავლის რეალობა“

**01.VI.99–9.IX.2005**
I-II საერთაშორისო კონფერენცია „ჯანმრთელი ბავშვი - მშვიდობიანი კავკასია“

**25.XII.99**
III კონფერენცია „დღევანდელი ეკონომიკური მიმართულებანი პედიატრიაში და მისი პერსპექტივა“

XXI საუკუნის პედიატრია - ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს

**01.06.2000; 01.06.2001; 30.05.2002; 08.11.2012; 01.06.2018; 07.12.2018; 01.06.2019**
IV-V-VI(XX) XXI-XXII-XXIII-XXIV ახალგაზრდა სპეციალისტთა, რეზიდენტთა და დოქტორანტთა კონფერენცია;

**27.III.2001**
შეხვედრა სახალხო დამცველის ოფისში „არასრულწლოვანი დამნაშავეები, მათი უფლებები და რეალობა“

**04.09.2002**
შეხვედრა „გლობალური მარშის“ წარმომადგენელ კაილაშ სატიარტთან

**01.06.2001 06–07.11.2002 4.04.2003 22.12.2004 1.06.2005 27.12.2005**
VII-VIII-IX-XI-XII-XIII-XIV სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „პედიატრიის აქტუალური საკითხები“

**30.03.99 01.06.2000 01.06.2001 30.05.2002**
„ბავშვთა მკურნალობა XXI საუკუნეში“
სიმპოზიუმი №1 №2 №3 №4 №5 №7 №8 №9

**1.06.2003–1.06.2004**
I-II ინტერნეტ-კონფერენცია (X-XI სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია)

**19.12.2003 02.16.2008 01.06.2012**
საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის II-III-IV კონფერენცია

**22.12.2004; 1.06.2005; 1.01.2006; 22.02.2006; 7.12.2007;**

**2.06.2008; 20.12.2008; 1.06.2009; 1.06.2010; 09.12.2010; 01.06.2011; 23.12.2011; 01.06.2012; 21.12.2012; 01.06.2013; 1.06.2014; 27-28.12.2014; 1.06.2015; 1-6.06.16; 9-10.12.2016; 1-2.06.2017; 08.12.2017; 01.06.2018; 07.12.2018**
სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა
სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: XII-XIII-XV-XVI-XVII-XVIII-XIX-XX-XXXV--XXXIX

საერთაშორისო კონფერენცია: XXI-XXII-XXIII-XXIV-XXV-XXVI-XXVII-XXVIII-XXIX-XXX-XXXI-XXXII-XXXIII-XXXIV-XXXVII-XXXVIII-XXXX-XXXXI

27.12.14; 11.12.15 ინტეგრალური მეცნიერება – ვალეოლოგია და სანოლოგია: I-II

## XXXXII საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია მიძღვნილი პროფესორ გურამ ნიჟარაძის 90 წლისთავისადმი

## XXXXII INTENATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE DEDICATED TO PROF. G. NIZHARADZE 90TH ANNIVERSARY

**თბილისი 01-02.06.2019 TBILISI**

(კონფერენცია ჩატარდება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორატის I სართული სადისერტაციო დარბაზი. ვაჟა-ფშაველას 33 (თბილისი))

**სოციალური პედიატრია და ჯანმრთელობა** SOCIAL PEDIATRY AND CHILD`S HEALTH

**ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის საბჭოს სხდომა XXI საუკუნის პედიატრია-ინვალიდობის პროფილაქტიკის მედიცინად უნდა იქცეს**












# XXXXI საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია

# INTENATIONAL SCIENTIFIC-PRACTICAL CONFERENCE XXXXI

**(ახალგაზრდა სპეციალისტთა, რეზიდენტთა და დოქტორანტთა – XXIII)**
**(XXIII -Young specialists, residents and doctoral candidates)**
**თბილისი 07.12. 2018 TBILISI**
**Euroscience Georgian National Section, Association of Georgian Pediatric Cardiology**
**„ჩანასახიდან ბავშვს უფლება აქვს იყოს დაცული”**
**“Children must have right to be defended since embryo”**
**ბავშვთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეცნიერების გზით**
**Children’s Security Through Science**
**სოციალური პედიატრია და ბავშვთა ჯანმრთელობა**
**Social Pediatry and Child’s Health**
**(პრეს-რელიზი)**

2018 წლის 7 დეკემბერს 15.00-20.30 იმუშავა XXXXI სამეცნიერო პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომლის ჩატარებაშიც ტრადიციულად მონაწილეობდა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის, საქართველოს ჰუმანიტარული და სახელოვნებო მეცნიერების აკადემიის, ორგანიზაცია – International fund the world security and child-ის, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის, სამედიცინო კორპორაცია ევექსის, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობის და არაერთი სხვა პარტნიორი ორგანიზაცია:

კონფერენციამ იმუშავა პროგრამით:

15.15 კონფერენციის გახსნა Opening of Conference

1. მისალმებანი Opening Speech
2. „ტრადიცია გრძელდება“: მილოცვები – გახსენება – დაჯილდოება „თრადიტიონ Continues” – Congratulations – Reminding – Rewarding

კონფერენციაზე წაკითხული იქნა გამოცემული ჟურნალ გაზეთების მსოფლიო არენაზე მკითხველთა სტატისტიკური მონაცემები, რომლითაც ნათლად ჩანდა დინამიკაში მკვეთრი მატება.

კონფერენციაზე სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის: „მადლიერების სიგელი“ გადაეცათ: – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, ბატონ ირაკლი ფაღავას ოჯახს. – №36

– მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, გიორგი (გოგი) ყიფიანის ოჯახს – №37

– მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის, თემური ტონიას ოჯახს. №38

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის ქების სიგელი გადაეცათ – №101 ელენე პირველს (უშგულის ანბულატორიის გამგეს), – №102 ლილი ჯაფარიძეს (მესტიის რაიონის ექიმი თერაპევტს), – №103 გიორგი თოლორდავას („სენამედის“ დირექტორს)

**ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ქების სიგელი** – №6 გადაეცა – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს, ბატონ ყარამან (გია) ფაღავას

**„უზადო საექიმო ღვაწლისათვის“** – №1 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს,პროფესორს,ბატონ ალიკო ლაბარტყავას

საზოგადოების საინიციატივო ჯგუფმა კი **„2018 წლის რჩეული საქართველოში“** №2 – გადასცა ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილს

კონფერენციის I და II პლენალური სხდომები მიეძღვნა ტრადიციულად ძირითადად პედიატრიის აქტუალურ საკითხებზე.

კონფერენციაზე შედგა 2017-18-პროექტების ანგარიში. რაც შეეხება კონფერენციის სამეცნიერო-პრაქტიკულ მიმდინარეობას: ჩატარდა პლენარული სხდომები და რაც მთავარია აღდგა და გაგრძელდა ახალგაზრდა სპეციალისტთა, რეზიდენტთა და დოქტორანტთა – XXIII კონფერენცია; მასზე წარმოდგენილი მოხსენებებში აქცენტი იყო დასმული და გამახვილებული არამარტო თანამედროვე პედიატრიის აქტუალურ საკითხებზე; როგორც აღვნიშნეთ იმუშავა ოთხმა სხდომამ (www.sppf.info) ყველა სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხისა და დისკუსიების რეჟიმში.





# ტრადიციულად, XXXXI კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია

**ტრადიციულად, XXXXI კონფერენციამ მიიღო რეზოლუცია**

I. გაზიარებული იქნას წინა კონფერენციებზე მიღებული რეზოლუციები:

1. ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნულმა სექციამ იმუშაოს წინა კონფერენციებზე მიღებული რეზოლუციებით:

ა) 2018-19 წლებში აქტიურად გააგრძელოს თავისი საორგანიზაციო საქმიანობა და 2022 – 4 წლის მსოფლიო ფორუმის საქართველოში ჩასატარებლად ყველა ღონისძიება გაატაროს, როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციების დონეზე.

ბ) ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის სტრატეგიული გეგმა გადიოდეს მასში ახალგაზრდობის მეცნიერებაში ჩართვის მკვეთრი მატებისაკენ და დაევალოს ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის ახალგაზრდულ დეპარტმენტს მეტად განახორციელოს აქტიური მუშაობა შემუშავებული გრძელვადიანი გეგმის მიხედვით

2. 2019 წელს მომზადდეს და ჩატარდეს საქართველოს ექთანთა IV კონფერენცია.

3. გაზეთის „სოციალური პედიატრია” და ჟურნალების „სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრიის” და „ბავშვთა კარდიოლოგიის” ახალი ნომრების www.sppf.info-ის და WWW.esgns.org ვებ.გვერდზე განთავსებისა და მათგან რეფერირებად ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნების სტრატეგიის გააქტივება.

4. 2019-20 წლებში მეტად გააქტიურდეს მედიცინის, სპორტისა და განათლების ერთიანი მეცნიერული მართვისათვის განსახორციელებელი შესაბამისი ღონისძიებანი – ვალეოლოგიის ფარგლებში.

5. 2019-20 წლებში განხორციელდეს ინტენსიურად პედიატრთა პროფესიული გადამზადების მონიტორინგი

6. მეტი ინტენსიობით წარიმართოს მუშაობა პროექტების: – „საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე“. Georgia Without Hungry Children – „ინტეგრალური მეცნიერებათა ვალეოლოგია და სანოლოგია, როგორც XXI საუკუნის გამოწვევა“ – „საქართველოში „GGMC“-ის და „GGMG”-ის აუცილებლობაა“ – „პოდიატრია ვალეოლოგიის ერთ-ერთი ფუნდამენტია“ „Podiatry valeology one of the fundament.

II

1 გაგრძელდეს საქართველოში მედიცინის დარგში „ბრწყინვალების ვარსკვლავის“, „ოქროს სტეტოსკოპის”, „ოქროს ლანცეტის”,„ღირსეული მედიკის” და მეცნიერებაში „ოქროს ბუმბულის“ მიმნიჭებელიი მუდმივმოქმედი კომისიის მუშაობა და დასახელდეს მფლობელები 2019 წლის 1 ივნისისათვის XXXXII კონფერენციაზე

2 რეგულარულად ჩატარდეს ახალგაზრდა სპეციალისტთა, რეზიდენტთა და დოქტორანტთა კონფერენციები.

კონფერენციაზე დარიგდა: – გაზეთი „სოციალური პედიატრია“ და ჟურნალები – „ბავშვთა კარდიოლოგია“, „სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია“ – დისკზე ჩაწერილი ლექციები.

კონფერენციის ფარგლებში, მედიცინის სხვადასხვა დარგის აღიარებულმა კლინიცისტებმა ათობით პატარა პაციენტი უფასოდ. გასინჯეს თბილისში. გაისინჯა 250-ზე მეტი ბავშვი (მათ შორის მრავალშვილიან დედებს, სტუდენტთა ბავშვებს გადაეცათ უფასოდ ბავშვთა კვება და ჰიგიენის საშუალებანი).

**კონფერენციის ინტერნეტ-ვერსია**
**ELECTRONIC VERSION**
**www.sppf.info,www.esgns.org**
**E-mail: info@sppf.info**

**კონფერენციაზე დარიგდა:**

**– გაზეთი „სოციალური პედიატრია“ და ჟურნალები – „ბავშვთა კარდიოლოგია“, „სოციალური,ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია“**

**Participants will receive – „Social Pediatrics” newspaper. Also, magazines – „Pediatric Cardiology”, „Social, Ecological and Clinical Pediatrics”.**

დიდი მადლობა კონფერენციის ყველა აქტიურ მონაწილეს.









## Statistics Total Visits

სოციალური და ეკოლოგიური პედიატრია

Views
2017 - 237
2018 - 283
2019 - 1261

### Total Visits per Month

| November 2018 | December 2018 | January 2019 | February 2019 | March 2019 | April 2019 | May 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3 | 953 | 11 | 5 | 1 | 5 | 0 |

### Top Country Views

| | Views |
|---|---|
| Germany | 739 |
| France | 109 |
| United States | 104 |
| Georgia | 37 |
| Canada | 18 |
| China | 14 |
| Senegal | 8 |
| United Kingdom | 6 |
| Ukraine | 6 |
| Russia | 4 |

### Top City Views

| | Views |
|---|---|
| Berlin | 499 |
| Sacramento | 61 |
| Ashburn | 24 |
| Montréal | 18 |
| Beijing | 6 |
| Houston | 6 |
| Abidjan | 3 |
| Ann Arbor | 3 |
| Tbilisi | 3 |
| Austin | 2 |

## Statistics Total Visits

ბავშვთა კარდიოლოგია

Views
2017 - 140
2018 - 161
2019 - 172

### Total Visits per Month

| November 2018 | December 2018 | January 2019 | February 2019 | March 2019 | April 2019 | May 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 3 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 |

### Top Country Views

| | Views |
|---|---|
| Georgia | 50 |
| United States | 38 |
| Senegal | 8 |
| China | 6 |
| France | 6 |
| Russia | 6 |
| United Kingdom | 4 |
| Ukraine | 4 |
| Canada | 3 |
| EU | 3 |

### Top City Views

| | Views |
|---|---|
| Ashburn | 18 |
| Houston | 6 |
| Beijing | 5 |
| Tbilisi | 4 |
| Ann Arbor | 3 |
| Montréal | 3 |
| Saint Petersburg | 3 |
| Abidjan | 2 |
| Austin | 2 |
| Cambridge | 2 |

## Statistics Total Visits

საქართველოს სოციალური, ეკოლოგიური და კლინიკური პედიატრია

Views
2017 - 118
2018 - 134
2019 - 149

### Total Visits per Month

| November 2018 | December 2018 | January 2019 | February 2019 | March 2019 | April 2019 | May 2019 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 6 | 4 | 3 | 0 | 1 | 0 |

### Top Country Views

| | Views |
|---|---|
| United States | 34 |
| Georgia | 25 |
| China | 11 |
| Senegal | 6 |
| France | 4 |
| Canada | 3 |
| United Kingdom | 3 |
| Russia | 3 |
| Côte d'Ivoire | 2 |
| Germany | 1 |

### Top City Views

| | Views |
|---|---|
| Ashburn | 16 |
| Beijing | 10 |
| Houston | 5 |
| Tbilisi | 4 |
| Montréal | 3 |
| Abidjan | 2 |
| Ann Arbor | 2 |
| Austin | 2 |
| Cambridge | 2 |
| Fremont | 2 |

## ახალგაზრდათა კონფერენცია - XXIII (07.12.18)



















## ახალგაზრდა პედიატრთა ასოციაცია აქტიურია











ბავშვთა ახალი კლინიკა
247 04 01 CHILDREN'S NEW CLINIC

# GEORGIAN NATIONAL SECTION OF EUROSCIENCE

# ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია

## ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექცია აქტიურია

2018 წელი ნაყოფიერად იმუშავეს საქართველოს დარგობრივმა აკადემიებმა

2019 წელიც ნაყოფიერად მიმდინარეობს და რედაქცია უსურვებს აღებული ტემპის შენარჩუნებას.



## საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF NATURAL SCIENCES 2014

*პრეზიდენტი პაატა კერვალიშვილი*



*უკრაინელ მეცნიერ გენადი გავრილოვთან ერთად. 1980*



*გერმანულ (ფრაუნჰოფერის საზოგადოება) – ქართული შეხვედრა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1998*



*ევროკონფერენციაზე (ცენტრში ლეგენდარული ნიკოლოზ რადაუცანი). 1995*

## წელს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს პაატა კერვალიშვილს 70 წელი უსრულდება

### /რედაქცია გულითადად ულოცავს ბატონ პაატას/

საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი 2009 წლიდან და ევრო ხმელთაშუაზღვის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის პრეზიდენტი 2010 წლიდან, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი (1979, გირედმეტი, მოსკოვი), ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი (1985, ატომური ენერგიის ინსტიტუტი, მოსკოვი) სსრკ პროფესორი (1989, მოსკოვი) დაიბადა თბილისში მეცნიერ მუშაკების, დოქტორების მედეა კიკნაველიძისა და ჯამლეთ კერვალიშვილების ოჯახში 1949 წლის 17 სექტემბერს.

მან 1966 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა თბილისის 1-ლი საშუალო სკოლა, რომელშიც 1956 წელს შევიდა. 1971 წელს მან წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საინჟინრო-ფიზიკური ფაკულტეტი და შემდგომში მოსკოვის ინსტიტუტ გირედმეტის ასპირანტურა, სადაც სწავლობდა ლეგენდარული გიორგი ფლიოროვისა (დუბნის ბირთვული კვლევების ინსტიტუტის დამაარსებელი) და ლევ გონჩაროვის ხელმძღვანელობით. გირედმეტშივე მას მიენიჭა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი და უფროსი მეცნიერ მუშაკის წოდება.

1970 წლიდან პაატა კერვალიშვილმა თავისი მოღვაწეობა დაუკავშირა საბჭოთა კავშირის ატომურ პროგრამას. შრომითი საქმიანობა მან დაიწყო ლ. ბერიას მიერ დაარსებულ ლეგენდარულ სოხუმის ფიზიკა-ტექნიკურ ინსტიტუში, შემდეგ გადავიდა სტაბილური იზოტოპების ინსტიტუტში და შემდეგ კი გირედმეტში. 1980 წლიდან იგი ატომური ენერგიის ინსტიტუტშია და პარალელურად თბილისის სტაბილური იზოტომების ინსტიტუტში.

საბჭოთა პერიოდში სრულიად ახალგაზრდა იგი უკვე ხელმძღვანელობდა დახურულ საკავშირო პროგრამებს. მაგალითად, ბირთვული გამოსხივების დეტექტორების შექმნა გერმანიუმის საფუძველზე; სწრაფნეიტრონიანი ბირთვული რეაქტორების მარეგულირებელი სისტემების შექმნა; საშუალო მასების იზოტოპების განცალკევების ტექნოლოგიების შექმნა, ლაზერული მოწყობილობების კვლევა-დამუშავება კოსმოსური დანიშნულებისათვის და სხვა. ამ პერიოდში მან მიიღო 1978 წლის ლენინური კომკავშირის პრემია ფიზიკაში (აქ უნდა აღინიშნოს ნობელის პრემიის ლაურეატის ნიკოლოზ ბასოვის და ალექსანდრე ელიუტინის ხელმძღვანელობა) და შემდგომში სხვადასხვა დახურული ჯილდოები. ი. კურჩატოვის ატომური ენერგიის ინსტიტუტში იგი მუშაობდა ისაკ კიკოინის და ანატოლი ალექსანდროვის ხელმძღვანელობით (სსრკ ატომური პროექტის ხელმძღვანელები). აქვე მან დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და მაშინვე დაევალა სამეცნიერო საბჭოს თანახელმძღვანელობა ერთ-ერთი მიმართულებით.

1990 წელს უკვე ცნობილი მეცნიერი და პროექტ-პროგრამების ხელმძღვანელი პაატა კერვალიშვილი გაემგზავრა აშშ-ში (9 აპრილის შემდეგ მან გადაწყვიტა დამშვიდობებოდა მოსკოვს, 1989 წელს იყო ჟენევაში -ცერნი, მაგრამ ატომური პროგრამის დატოვება საკმაოდ რთული აღმოჩნდა) ბერკლში (კალიფორნიის უნივერსიტეტი) ლოურენს ლივერმორის ლაბორატორიაში ჯ. ვეტჩის მოწვევით, სადაც მან იმუშავა 1991 წელსაც.

1992 -1993 წლებში პაატა კერვალიშვილი იტალიისა და გერმანიის სამეცნიერო-სამრეწველო ცენ-

*გაგრძელება მე-5 გვ.*

## ევრომეცნიერების საქართველოს ეროვნული სექციის „ოქროს ბუმბულის", „ოქროს ლანცეტის" და „ოქროს სტეტოსკოპის" 2019 წლის მფლობელნი




*მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
*თინათინ ჩიქოვანი*






*მედიცინის დოქტორი, პროფესორი*
*მერაბ ჯანელიძე*






*მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
*ნუგზარ უბერი*



## ახალგაზრდული ფრთა საერთაშორისო, ადგილობრივ ფორუმებზე და კვლევით ლაბორატორიებში

## YOUNG GENERATION IN RESEARCH LABS AND ON INTERNATIONAL & LOCAL FORUMS















საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემია
GEORGIAN ACADEMY OF HUMANITARIAN AND ARTES SCIENCES
პრეზიდენტი დემურ ბაშელეიშვილი
president DEMUR BASHELEISHVILI



# 80 წლის იუბილარი



**პროფესორი იგორ დოლიძე**
**საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის წევრი, აკადემიკოსი**
**დაიბადა 1939 წლის 7 თებერვალს.**
**პროფესიით ექიმი ინფექციონისტია.**

დაამთავრა ლენინგრადის სახელმწიფო პედიატრიის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის ფაკულტეტი (1959-1965). 1965-1966 წლებში მუშაობდა ქ. გროზნოში (ჩეჩნეთ – ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკა, რუსეთი) ექიმი პედიატრის თანამდებობაზე. მან ნაყოფიერდ იმუშავა ქალაქის სასწრაფო დახმარების სადგურში, გროზნოს მეხუთე საავადმყოფოს ბავშვთა განყოფილებაში, ბრმა ბავშვთა რესპუბლიკურ სკოლა-ინტერნატში.

1966-1976 წლებში მუშაობდა თბილისში, საექიმო კონტროლის თანამდებობაზე ქალაქის სამკურნალო ფიზკულტურის დისპანსერში. აგრეთვე საზოგადოება „დინამოს „ოლიმპიური რეზერვების ცურვის ბავშვთა სპორტულ სკოლაში.

1967 წელს იგორ დოლიძე აირჩიეს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ს/კ ინსტიტუტში, პათოფიზიოლოგიური განყოფილების უმცროს მეცნიერ – თანამშრომლად.

1972 წელს, მოსკოვში, ი. სეჩენოვის სახ. პირველ სამედიცინო ინსტიტუტში დისერტაციის წარმატებით დაცვის შემდეგ, მიანიჭეს მედიცინის მეცნიერებათა კანდიტატის ხარისხი.

1973 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ტრავმატოლოგიისა და ორთოპედიის ს/ კ ინსტიუტში, ექსპერიმენტული და სამედიცინო კიბერნეტიკის განყოფილების მეცნიერ – ხელმძღვანელის თანამდედობაზე. 1975 წელს მიანიჭეს უფროსი მეცნიერ-თანამშრომლის წოდება პათოფიზიოლოგიის დარგში. 1978-1980 წლებში მუშაობდა საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერიმენტული და კლინიკური ქირურგიის ს/კ ინსტიტუტის ავტომატიზებული რეანიმაციული სისტემების ლაბორატორიის გამგედ.

1980 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ იგორ დოლიძე სამუშაოდ მიავლინა ქ. ბათუმში და დანიშნეს მართვის ავტომატიზებული სისტემების – „აჭარის ჯანდაცვა„მთავარ კონსტრუქტორად (მეცნიერ – ხელმძღვანელად) და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოადგილედ. იგი, ამავდროულად მუშაობდა ბათუმის საავადმყოფოში ბავშვთა ინფექციონისტის თანამდედობაზე.

1981 წელს ცნობილმა ინფექციონისტმა, პროფესორმა ვახტანგ ბოჭორიშვილმა მიიწვია თბილისში რესპუბლიკური ინფექციური საავადმყოფოს კლინიკური ორდინატორის თანამდედობაზე, სადაც 1995 წლამდე მუშაობდა. სხვადასხვა დროს იგი მიწვეული იყო ექიმ-ორდინატორის თანამდედობაზე ინფექციურ საავადმყოფოში, სეფსისის საწინაალმდეგო რესპუბლიკურ ცენტრში. იგი, აგრეთვე, ასრულებდა უფროსი ექიმ-კონსულტანტის მოვალეობას „სანავიაციის“ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების სადგურში.

1993 წელს მიანიჭეს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი. სადისერტაციო თემა შეფასდა, როგორც თანამედროვე სეფსისოლოგიის განვითარების ეპოქალური მოვლენა. 1995 წელს გაიმარჯვა ქ. დერბენტის (დაღესტნის ა/რ, რუსეთი) მაგომედ იარაგის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში და დაინიშნა თერაპიული კათედრის გამგედ.





1997 წელს იგორ დოლიძე მოსკოვში, ენერგოინფორმაციულ მეცნიერებათა საერთაშორისო აკადემიის ნამდვილ წევრად აირჩიეს. 1998 წელს მიანიჭეს პროფესორის სამეცნიერო – პედაგოგიური წოდება.

1998 წელს მუშაობას იწყებს საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის სპორტული მედიცინის, სამკურნალო ფიზკულტურისა და ადაპტური სპორტის კათედრაზე პროფესორის თანამდედობაზე, კათედრის გამგედ (2006), დეპარტამენტის ხელმძღვანელად (2007). 2007 წელს აკადემიის გაუქმების გამო მუშაობას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში, სპორტული მედიცინისა და სამკურნალო ფიზკულტურის დეპარტამენტის ხელმძღვანელად. 2012 წლიდან უძღვება სალექციო და სემინარების კურსს კინეზოთერაპიასა და ვალეოლოგიაში.

2013 წელს აირჩიეს საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე, სადაც დღემდე მუშაობს.

1999 წელს პროფესორი იგორ დოლიძე აირჩიეს საქართველოს ჰუმანიტარულ და სახელოვნებო მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად, აკადემიკოსად. 2005 წლიდან იგი აკადემიის აკადემიკოს მდივანია. 2004 წლიდან საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრია. არის 184 სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 7 (შვიდი) წიგნის ავტორი.

მოპოვებული აქვს სახელმწიფო ლიცენზიები შინაგანი სნეულებების, ინფექციური სნეულებების, სპორტული მედიცინის, სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის საექიმო სპეციალობებში. არის უმაღლესი კატეგორიის ექიმი ინფექციონისტი. მას, 2017 წელს „ღვაწლმოსილი მკურნალის (თერაპევტის)“ საპატიო წოდება მიანიჭეს. დაჯილდოებულია მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედლით (2006).

# წელს ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორს პაატა კერვალიშვილს 70 წელი უსრულდება

## /რედაქცია გულითადად ულოცავს ბატონ პაატას/

*დასასრული. დასაწყისი მე-4 გვ.*

ტრებში მოღვაწეობს (მილანი, ქილი, შტუტგარტი, ჰანაუ), სადაც მონაწილეობს სხვადასხვა ტიპის პრეცეზიული მასალებისა და საწვავის ტექნოლოგიების შექმნაში, ასევე სამეცნიერო პროექტებში იტალიისა და გერმანიის უნივერსიტეტებთან ერთად.

1994 წლიდან 2000 წლამდე პროფესორი კერვალიშვილი საქართველოს მთავრობაშია, სადაც ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამეცნიერო (მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო კომიტეტი) და ინოვაციურ (კავშირგაბმულობის სამინისტრო და საპრეზიდენტო საბჭო) პროგრამებსა და პროექტებს.

1984 წლიდან პ. კერვალიშვილი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია; 1998 წლიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. იგი აქტიურად ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო-ტექნოლოგიურ პროგრამებსა და პროექტებში აშშ-ს, გერმანიის, ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, საბერძნეთის სამეცნიერო ცენტრებსა და უნივერსიტეტებში (კალიფორნიის უნივერსიტეტი – ბერკლი, მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტი, ჰანოვერისა და შტუტგარტის უნივერსიტეტები, ფრაუნჰოფერის საზოგადოების ინსტიტუტები, კრენფილდის და კემბრიჯის უნივერსიტეტები, პარიზისა და სტრასბურგის უნივერსიტეტები, რომისა და ფერარას უნივერსიტეტები, ათენის კაპოდასტრისისა და ტექნიკური უნივერსიტეტები და ბევრი სხვა.

პროფ. პ. კერვალიშვილი 500-მდე სამეცნიერო შრომის ავტორია, მათ შორის 32 გამოგონებისა და



*„ნატოს“ ეზოში 2000 (ფოტო დაცულია საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში)*

პატენტის და რამდენიმე წიგნის, რომლებიც დასტამბულია უამლესი დონის გამომცემლობების მიერ (იოს პრესი, შპრინგერი და სხვა) და სამეცნიერო ბესტსელერებად ითვლებიან. მისი ხელმძღვანელობით ჩატარებულია 40-ზე მეტი საერთაშორისო კონფერენცია სხვადასხვა ქვეყნებში. 50-დე კონფერენციაში იგი მოწილეობდა, როგორც მთავარი მოწვეული მომხსენებელი. იგი არის 20-მდე საქვეყნოდ ცნობილი სამეცნიერო ჟურნალის რედკოლეგიის წევრი. 1994-1999 წლებში იგი გახლდათ ნატოს სამეცნიერო საბჭოს წევრი. უნდა აღინიშნოს, რომ პირველად ნატოს კონფერენციაზე სამეცნიერო მოხსენებით სენსორების ფიზიკის დარგში ბატონი პაატა გამოვიდა ჯერ კიდევ 1991 წელს აშშ-ში, რასაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

მოსკოვის საინჟინრო-ფიზიკურსა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტებში პედაგოგიური მოღვაწეობისათვის 1989 წელს პ. კერვალიშვილს სსრკ პროფესორის სახელმწიფო სამეცნიერო წოდება მიენიჭა.

1991 წელს პაატა კერვალიშვილის ინიციატივით საქართველოში დაფუძნდა სენსორული სისტემების სამეცნიერო-ტექნოლოგიური ცენტრი. 1994 წელს იგი არჩეულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიაში, ამჟამად იგი ამ აკადემიის პრეზიდიუმის წევრია. 1997 წელს პაატა კერვალიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრად; იგი ამჟამად ამ აკადემიის პრეზიდენტია. 2010 წელს პროფესორი პაატა კერვალიშვილი არჩეულ იქნა ევრო და ხმელთაშუაზღვის ხელოვნებისა და მეცნიერების (ათენი, ლოზანა) აკადემიის პრეზიდენტად.

პაატა კერვალიშვილი 20-მდე პრესტიჟული პრემიისა და ჯილდოს მფლობელია, მრავალი საერთაშორისო აკადემიისა და საბჭოს წევრი. პროფესორ კერვალიშვილის პროფესორ კერვალიშვილის ხელმძღვანელობით შესრულდა 50-ზე მეტი საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი და პროგრამა.



*ევრო ხმელთაშუაზღვის ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის წევრთა ერთი ჯგუფი. 2010*

პროფესორ კერვალიშვილის საჯარო მოხსენებაში „ქვანტური ბიოლოგია – ახალი მიდგომები" (2019 წლის 1 ივნისი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი – ბავშთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია) განხილულია ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე სამეცნიერო მიმართულების – ქვანტური ბიოლოგიის განვითარების მთავარი საკითხები დ ამოცანები. პ. კერვალიშვილის გამოსვლაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქვანტური საინფორმაციო ტექნოლოგიების (ქსტ-QIT) როლს ქვანტური საინფორმაციო ბიოლოგიის (ქსბ-QIB) განვითარებაში, სადაც ინფორმაციის შენახვა, დამუშავება და კომუნიკაცია ხდება კვანტური ფიზიკის პრინციპებით, მათ შორის მოლეკულურ-ბიოლოგიურ პროცესებში. ქვანტური საინფორმაციო ბიოლოგიის ფუნდამენტური საკითხები არის ქვანტური ფორმალიზმის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული განაცხადი ფიზიკის გარეთ. ქსბ უზრუნველყოფს ბიოსისტემებში ინფორმაციის დამუშავების მრავალმხრივ მოდელს – ცილებიდან და უჯრედებიდან შემეცნებით და სოციალურ სისტემებამდე. იგი ეფუძნება ქვანტური პარადიგმს: კომპლექსური ბიოლოგიური სისტემები მუშაობს ქვანტური ინფორმაციისა და ალბათობის კანონების შესაბამისად. ქვანტურ-ფიზიკური ინფორმაციული ინტერპრეტაცია არის qsb-ის ყველაზე ბუნებრივი ინტერპრეტაცია. ბიოლოგიურად qsb ეფუძნება ორ პრინციპს: ა) ადაპტირებას, ბ) გახსნილობას (ბიოლოგიური სისტემები ფუნდამენტურად ღიაა). ეს პრინციპები მათემატიკურად წარმოდგეილია ახალი ფორმალიზმის ჩარჩოებში – ქვანტური ინფოდინამიკის ფარგლებში, რომელიც წარმოადგენს ღია კვანტური სისტემების სტანდარტულ თეორიას, და რომლის ადაპტირება შესაძლებელია ცოცხალი სისტემებისათვის. ამ მიმართულებით მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ახალი დარგის -ქვანტური საინფორმაციო პროცესები ბიოსტემებში – შემდგომი განვითარებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია დღეს უკვე დამუშავებული ქვანტური საინფორმაციო მეთოდებისა და ალგორითმების თავსებადობის დადგენა ნანო და პიკო მასშტაბის ბიოპროცესების გაგებისა და დამუშავებისათვის.



*ქართველი მეცნიერები კოპენჰაგენში. ოთარ კვესიტაძე, ლადო ბახუტაშვილი, დავით გორდეზიანი და პაატა კერვალიშვილი. 1997*



*ევროკავშირის პირველი პრეზიდენტის ჟაკ დელორის ჯგუფი*



*ორსეიში (პარიზის უნივ. სამხ.) ლანჩის შემდეგ ცნობილ ფრანგ მეცნიერ-მეგობრებთან ერთად. 2014*

ბავშვთა ახალი კლინიკა
247 04 01 CHILDREN'S NEW CLINIC

# ქველმოქმედება CHARITY ACTIVITIES

ჩვენს მიერ საქველმოქმედო აქციებში გაისინჯა 1980 წლიდან – დღემდე 227 495 ბავშვი. საქველმოქმედო აქციები გრძელდება.

FROM 1980 UNTIL TODAY WE PROVIDED FREE EXAMINATIONS FOR 227 495 CHILDREN. CHARITY EVENTS ARE GOING TO CONTINUE.

**სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საქართველოს საპატრიარქოს თანადგომით საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში: ზუგდიდი, ხულო, ხელვაჩაური, ქედა, ლანჩხუთი, ოზურგეთი, ინგირი, მარნეულის, ლენტეხის, დმანისის რაიონებში – ჩატარდა საქველმოქმედო აქციები, სადაც გაისინჯა, შესაბამისი კვალიფიციური სამედიცინო კონსულტაცია გაეწია და მედიკამენტები დაურიგდა 5600 ბავშვს და 1000-ზე მეტ მოზარდს – 2000-2005 წწ.**



საქველმოქმედო აქცია ლენტეხში 10.X.2005წ





გაისინჯა 2006 წლის 20 მაისს ჩაუტარდა საგურამოს ასტომით დაავადებულ ბავშვთა პანსიონატის 28 ბავშვს. 9-10 ივნისს კასპში ივანე ჯავახიშვილის 110 წლისთავისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში გაისინჯა 250-მდე ბავშვი. ოქტომბერ-ნოემბრის თვეში თსსუ გ.ჟვანიას პედიატრიულ კლინიკაში მოწყობილ აქციებში (ღია კარის დღეები: მხატვართა კავშირის, ვეტერანთა დეპარტამენტის, პრესისა და ტელევიზიის თანამშრომელთა ბავშვები) გაისინჯა 700-მდე ბავშვი.

2006 წლის 1 ივლისს, ცხინვალის რეგიონში გაისინჯა და შესაბამისი სამედიცინო დახმარება გაეწია 500-მდე ბავშვს.



საქველმოქმედო აქცია ყვარელში, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მწერლისა საზოგადო მოღვაწის საქართველოს სულიერი მამის, ილია ჭავჭავაძის დაბადების 170 წლისთავს. 9.06.2007



## საქველმოქმედო აქციები მარნეულში, დუშეთში და ახაშენში





თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ტერიტორიაზე 2008 წლის 2 ივნისს მოეწყო ბავშვთა კარავი (Teddy Veuz Hospital), რომელშიც მონაწილეობა მიიღეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა

## საქველმოქმედო აქცია რუსთავსა და სამტრედიაში





## საქველმოქმედო აქცია ქაქუცობა 2008



## საქველმოქმედო აქცია ხაშურში 2009



## საქველმოქმედო აქცია ბარისახო 2009



## საქველმოქმედო აქცია კალათბურთელების გასინჯვა 2010



## საქველმოქმედო აქცია ომის მონაწილეთა ოჯახებისა და წმინდა კეთილმსახური მეფე თამარის სკოლა პანსიონის ბავშვები (დეკანოზი მირიან სამხარაძე) გასინჯვა 2010





საქველმოქმედო აქცია
კარალეთი 2010



2010 წლის ღია კარის დღე
04.XII სპორტსმენებთან





2011 წლის 1 ივნისს

კონფერენციის ორგანიზატორებსა და აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით ბავშვთა დაცვის დღეს მიეძღვნა ბავშვთა საქველმოქმედო კონსულტაციები, რომელიც ჩატარდა ბავშვთა ახალ კლინიკაში და გაისინჯა 200-მდე ბავშვი.აგრეთვე მოეწყო აფხაზეთიდან აფხაზ ბავშვთა ნამუშევრების ნახატების გამოფენა და მათ გადაეცათ სერტიფიკატები.

2011 წლის 1 ივნისს





საქველმოქმედო
აქცია 24.12.2011.
ბავშვთა ახალ
კლინიკაში
(გაისინჯა 200-ზე
მეტი ბავშვი)





01.06.12. თბილისი





27.07.12. თელავი



11.08.12. კარალეთი





01.06.13. ბავშვთა დაცვის დღეს აფხაზეთის ჯანდაცვის ერთობლივი აქცია ირ.ციციშვილის სახ. ბავშვთა კლინიკაში – გაიცინჯა 250-ზე მეტი ბავშვი.

01.06.13. აქცია აჭარაში



## 2013 წლის 1 ივნისის აქციაში მონაწილეობდა:

**თბილისი** – ირ. ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა, პედიატრიის ინცტიტუტი, სადიაგნოსტიკო ცენტრი 444, კარდიოლოგიის ინსტიტუტი შ.პ.ს. „კიდმედი“. **აჭარის რეგიონი 1.** სს „ბათუმის რეფერალური საავადმყოფო” 2. შპს ჯანმრთელობის ცენტრი „მედინა”, 3. შპს „ქ. ბათუმის №1 პოლიკლინიკა”4. შპს „თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრი”. 5. შპს „ქ. ბათუმის №4 პოლიკლინიკა”. 6. შპს „საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი” 7. შპს „მახინჯაურის მრავალპროფილური პოლიკლინიკა” **გორი**–შ.პ.ს.“გორმედი, საქ.საზ. “იავნანა“ გორის დედათა და ბავშვთა ცენტრი **თელავი** – ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი **ქუთაისი** ინტერვენციულ ცენტრში უპასო მიღება 31-ში მთელი დღე მხოლოდ ინვალიდ და მიუსაფარ ბავშვებისათვის. 01.06.13-ში ქუთაისის თითქმის კველა პოლიკლინიკა 1. ქ. ქუთაისის ზ.ცხაკაიას სახელობის დასავლეთ საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ეროვნული ცენტრი2ქ.ქუთაისის 1 პირველადი ჯანდაცვის ცენტრი 3ქ.ქუთაისის შ.პ.ს. „გ.გ“. სამკურნალო დიაგნოსტიკური ცენტრი. აფხაზეთის ჯანდაცვის სამინისტრო.

აქციებში გაიცინჯა 1300-ზე მეტი ბავშვი

02.06.13.
ბავშვთა დაცვის დღეს შ.პ.ს.”კიდმედში“ ერთობლივი აქციით 300-ზე მეტი ბავშვი გაისინჯა





**საქველმოქმედო აქციებში აქტიურადაა ჩართული სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის ა.შ.შ.-ში წარმომადგენელი – ვანიკო ცხომელიძე**

**SPPF representative in The US – Vaniko Tskhomelidze is actively involved in the charity events of the organization**



უფასო გასინჯვები
FREE MEDICAL EXAMINATIONS
19-20-21.-XII, 2013 10:00-14:00
(თბილისი - (პროფილაქტიკური გასინჯვები – სპორტსკოლა (მძლეოსნებისათვის),
№21 პოლიკლინიკა (დიღომი)),
სპორტსკოლა (კალათბურთელებისათვის)











## 2014 წელი ივლისი







21 მარტი დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღეა. დაუნის სინდრომს და აუტიზმს მიეძღვნა კონფერენცია, რომელიც სასტუმრო „სიმპატია”-ში ჩატარდა,ხოლო უცხოელი კოლეგების უშუალო მონაწილეობით სკოლა – სამინარი მშობლაბთან წარმატებით წარიმართა ირ. ციციშვილის სახ. „ბავშვთა ახალ კლინიკაში”. კაფორმდა მემორანდუმი სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდს, „მზის შვილებსა” და უცხოელ სპეციალისტებს შორის შემდგომი მჭიდრო ურთიერთობის გასაგრძელებლად. გთავაზობთ მოკლე ფოტოკოლაჟს.



## 2015წ. 8 თებერვალი. თბილისი. „KINDER CARE”-ღია კარის დღეზე გაისინჯა 50-ზე მეტი ბავშვი



2015 წლის 16 მაისს, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 1 სტომატოლოგიურმა კლინიკამ, ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ტრადიციული აქციის ჩარჩოებში, უმასპინძლა ბავშვთა ასაკის 14 შშმ პირს ქალაქ ზუგდიდიდან. პაციენტებს, კლინიკის ექიმებმა შეუფასეს პირის ღრუს მდგომარეობა და ჩაუტარეს საჭირო ქირურგიული და თერაპიული სამკურნალო სტომატოლოგიური სამუშაოები. აქცია გაშუქებულ იქნა 2 ქართული სატელევიზიო არხის მიერ. ნორჩი პაციენტები და მათი მშობლები დიდად კმაყოფილები დარჩნენ გაწეული ჰუმანიტარული დახმარებით. მსგავსი ტიპის აქციებს, ტრადიციულად, კლინიკა მომავალშიც მრავლად განახორციელებს.ბატონი დავით ხვედელიანის ინფორმაცია მისასალმებელია და მისაბაძია.დიდი მადლობა პედიატრების სახელით.ჩვენი კონფერენციის ორი „ქების სიგელი” თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის 1 სტომატოლოგიურმა კლინიკამ ღირსეულად დაიმსახურა.გილოცავთ ბატონო დავით.

## უფასო გასინჯვები 30.05.2015 11:00-15:00

ბავშვთა დაცვის საერთასორისო დღისადმი მიძღვნილი ღია კარის დღე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ჰემოფილიით დაავადებულ და აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთათვის, (აფხაზეთის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს, საქველმოქმედო ფონდი „თამარიონის“ და კოალაცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის თანადგომით).



ირ.ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა (თბილისი, ლუბლიანას ქ 21) – გაისინჯა 200-ზე მეტი ბავშვი.



## 2015 წელი

**ირ.ციციშვილის სახელობის “ბავშვთა ახალი კლინიკამ და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდთან ერთად” ჩხოროწყუს რამოდენიმე სოფელში პაციენტების უფასო გასინჯვები გამართა**

5 და 6 დეკემბერს „ი.ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკის” სხვადახვა პროფილის პედიატრები ჩხოროწყუს და მიმდებარე სოფლების მოსახლეობას უფასო კონსულტაციები ჩაუტარდა. 20-მდე სხვადასხვა პროფილის ექიმმა (კერძოდ, ბავშვთა-ქირურგის, პედიატრის, ნევროლოგის, ტრავმატოლოგის, ოფთალმოლოგის, ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგის პროფილით). ორი დღის განმავლობაში 1300-ზე მეტი პაციენტს ჩაუტარა კონსულთაცია. საჭიროების შემთხვევაში მძიმე პაციენტებს შესაბამისი მკურნალობა და გამოკვლევები თბილისში “ბავშვთა ახალ კლინიკაში” გაუგრძელდათ.ჩატარდა ექიმებისათვის ლექციებიც.

## 2015-2016 წელი

## პროექტი: „საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე“ დასრულდა.

http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/374288-devnil-skolis-mostsavleebs-miznobrivi-profilaqtikuri-gasinjvebi-chautardath.htm

თბილისის დევნილთა მე-2 და მე-3 საჯარო სკოლის მოსწავლეებს მიზნობრივი პროფილაქტიკური გასინჯვები ჩაუტარდათ. გამოკვლევები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და შპს “ბაზის” აღდგენით ცენტრთან თანამშრომლობით ჩატარდა და მოზარდების აღნაგობის დარღვევის გამოსავლენად საჭირო სპეციფიკური გასინჯვებს ითვალისწინებდა.

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ვახტანგ ყოლბაია, ასევე, აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ქეთევან ბაკარაძე და მინისტრის მოადგილეები - მარინა ონიანი და თენგიზ კვირტია ესწრებოდნენ. ღონისძიების დროს გაისინჯა თბილისის დევნილთა მე-2და მე-3 საჯარო სკოლის 200 მოსწავლე. დიაგნოსტიკის შედეგების მიხედვით, მოსწავლეების 70%-ს სქოლიოზი დაუდგინდა, ასევე, გამოვლინდა გულის მანკის ერთი შემთხვევა. გასინჯვების დროს, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფ მოზარდებში აღმოჩენილ სქოლიოზისა და ბრტყელტერფიანობის შემთხვევებს, ქალაქ თბილისის მერიის პროგრამის ფარგლებში შპს „ბაზის“ მაღალკვალიფიციური ექიმები, უფასო აღდგენით თერაპიასა და მკურნალობას ჩაუტარებენ.



## 2016 წელი

### დუშეთი





კლინიკა ვაკეში



**ი. ციციშვილის სახელობის ბავშვთა ახალი კლინიკა**

უფასო გასინჯვების აქცია წნორში.

**31 მაისი**

ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკის სხვადასხვა პროფილის მაღალკვალიფიცირებულ პედიატრმა უფასო გასიჯვების აქცია ჩაატარეს წნორში.

### ჟვანიას სახელობის საუნივერსიტეტო ბავშვთა კლინიკა





## თბილისის სახ.სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ოჯახების მხარდასაჭერად ჰუმანიტარული აქცია ჩატარდა

**07-12-2016**

სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტთა ოჯახების მხარდასაჭერად „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა“ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტთან ერთად დღეს ჰუმანიტარული აქცია განახორციელა.

აღდგენითი თერაპიის ცენტრში „ბაზი“ „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა“ სამედიცინო უნივერსიტეტის რამდენიმე სტუდენტ ოჯახს 0-დან ერთ წლამდე ასაკის პატარებისთვის სხვადასხვა საკვები და მოვლის საშუალებები გადასცა. კერძოდ, რძე, ფაფები, ბოსტნეულის, თევზისა და ხორცის პიურეები, ხილფაფები. თითოეული პაკეტი დაახლოებით 200 ლარის ღირებულების იყო.

როგორც ფონდში განაცხადეს, ეს პაკეტი პატარების კვებას ერთი თვის განმავლობაში უზრუნველყოფს. ჰუმანიტარული აქციის დროს ბავშვთა კვების შესახებ ახალგაზრდა მშობლებს რჩევები ნუტრიციოლოგმა, „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის“ პროგრამის ხელმძღვანელმა ნინო თოთაძემ გაუზიარა. აქციას ასევე სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი რიმა ბერიაშვილი ესწრებოდა.

„ეს არის სტუდენტი მშობლების მხარდასაჭერი აქცია, რათა მათ იცოდნენ შვილები როგორ გამოკვებონ. იგრძნონ, რომ ჩვენ მათ მხარს ვუჭერთ, სტუდენტობის დროს ოჯახები შექმნან. ახალგაზრდებს განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდებათ და ფინანსურადაც ამ საკვების ყიდვა იოლი არ არის. მნიშვნელოვანია კონსულტაციაც, რათა ბავშვი სწორად გამოკვებონ და ჯანმრთელი გაიზარდოს. სწავლასთან ერთად შვილის გაზრდა დიდი ამოცანაა“, – განაცხადა რიმა ბერიაშვილმა.

ნუტრიციოლოგი ნინო თოთაძის თქმით კი, 10 დეკემბერს მსგავსი აქციის გამართვა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტთან ერთად იგეგმება.

თავის მხრივ „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის“ ხელმძღვანელმა პროფესორმა გიორგი ჩახუნაშვილმა აღნიშნა, რომ ფონდმა აღნიშული პროგრამა ერთი წლის წინ პატრიარქის კურთხევით დაიწყო. პროგრამის ფარგლებში სულ 50-მა ბავშვმა ისარგებლა. კერძოდ, ჰემოფილიითა და ტუბერკულოზით დაავადებულ ბავშვებს, და ასევე, კარალეთსა და ვერხვების სოფლებში მცხოვრებ 45 დევნილ პატარას საკვები და მოვლის საშუალებები უფასოდ გადაეცათ



XXXVII საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ფარგლებში შ.პ.ს. „ბაზში"-აღდგენითი თერაპიის ცენტრში, რომელიც თსსუ-ის ერთ-ერთი ბაზაა, კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტების წლამდე ასაკის ბავშვებს გადაეცათ უფასოდ „ბავშვთა კვება". ქველმოქმედება გრძელდება



2017 წელი. თბილისი. შ.პ.ს. „ბაზი" აღდგენითი თერაპიის ცენტრი. „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი" და „გენი ქართული" აგრძელებს პროგრამას – „საქათველო მშიერი ბავშვის გარეშე" (Project: "Georgia Without Hungry Children").

**ამჯერად, 6 თვიდან – 12 თვემდე ბავშვებს უფასოდ დაურიგდათ ძვირად ღირებული მრავალფეროვანი „ბავშვთა კვება" და ჰიგიენური საშუალებანი.**

## 16.10.2017 - ბაზი





**17.10.2017. 15.00. პროექტი „საქართველო მშიერი ბავშვის გარეშე" სოხუმის სახ.უნივერსიტეტში.**



**1 ივნისს უფასო გასინჯვები ჩატარდა აგრეთვე ირ.ციციშვილის ავშვთა ახალ კლინიკასა და თსსუ აფილირებულ კლინიკაში – „ბაზში", სადაც 100-ზე მეტ პაციენტი იყო.**

## 2017 წელი

2017 წელი 14 იანვარი 14.00. თბილისი. შ.პ.ს. „ბაზი" აღდგენითი თერაპიის ცენტრი. „სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი" აგრძელებს პროგრამას – „საქათველო მშიერი ბავშვის გარეშე" (Project: "Georgia Without Hungry Children").

ამჯერად, წელს პირველად, აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად, თბილისში მცხოვრებ აფხაზეთის მკვიდრთ, 6 თვიდან – 12 თვემდე 8 ბავშვს უფასოდ დაურიგდათ ძვირად ღირებული მრავალფეროვანი „ბავშვთა კვება". იმედს ვიტოვებთ წელს შემოგვიერთდებიან ქველმოქმედების გენით დატვირთული ჩვენი თანამემამულენი და მრავალი ბავშვი იქნება უზრუნველყოფილი საჭირო საკვებით.



გაიღვიძე ქველმოწმედების გენო,რომელიც ჩვენში ასე მრავლადაა, გ-ა-ი-ღ-ვ-ი-ძ-ე!!!

2017 წელს FRONTERA-ს და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის ერთობლივი საქველმოქმედო აქციები

აქციები მოეწყო ივანე ცხომელიძის (FRONTERAS სოციალური პროექტების დირექტორი) ხელმძღვანელობით, სადაც მოსახლეობას (400-მდე ბენეფიციარს) გაეწია კვალიფიციური სამედიცინო მომსახურეობა,საქართველოს სხვადასხვა რეგიონში (ნიქოზი, ოზურგეთი, დედოფლის წყარო თბილისი და ა.შ.).

In the year 2017 joint charity actions of the FRONTERA and the Social Pediatrics Protection Fund

The rallies were organized by Ivane Tskhomelidze (Director of the FRONTERAS Social Projects), where the population (up to 400 beneficiaries) provided qualified medical services in different regions of Georgia (Nikozi, Ozurgeti, Dedopolis Tskaro Tbilisi, etc.).

## 06.17. ზემო ნიქოზი





## 09.07 დედოფლისწყარო



## 26.10 დახმარება აფხაზეთიდან მრავალშვილია ოჯახებს





**23.05.17.თბილისი. 16.00.**

**სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა, ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა ეროვნული ცენტრში განახორციელა – „ბავშვთა დაცვის კვირეულის ფარგლაბში" – მომდევნო ჰუმანიტარული აქცია. უფასოდ დარიგდა ბავშვთა კვება და ჰიგიენური საშუალებები,რომლებიც თვით ფირმის წარმომადგენლების უშუალო მონაწილეობით განხორციელდა. დიდი მადლობა მათ.**



## 2018

**Frontera Eastern Georgias** სოციალური პროექტების დირექტორის ივანე ცხომელიძის და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის პრეზიდენტის გიორგი ჩახუნავილის ორგანიზებით მიმდინარე წელს,თბილისსა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა უფასო სამედიცინო გასინჯვები, სადაც ასობით პაციენტს გაეწია უფასო სამედიცინო დახმარება. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით იგეგმება ასეთივე აქცია თბილისსა და ქ. წყალტუბოში, სადაც სხვადასხვა პროფილის კვალიფიციური ექიმები გაუწევენ უფასო დახმარემას ადგილობრივ მოსახლეობას.

**Director of Social Projects Frontera Eastern Georgia Ivane Tskhomelidze and the President of the Social Pediatrics Protection Fund Giorgi Chakhunashvili organized free medical examinations in different regions of Georgia, where hundreds of patients were provided with free medical assistance. The same action is planned on International Children's Day. In Tbilisi and in Tskaltubo where the doctors of different profile will provide free aid to the local population.**

## საქმიანი ბჭობა - USINESS CONVERSATION







01.12.17.თსსუ-ის აფილირებული კლინიკა – „ბაზი", აღდგენითი თერაპიის ცენტრი.

ჩატარდა მორიგი საქველმოქმედო აქცია, ძალადობისგან დაცვის ეროვნული ქსელთან ერთად.



### 05.01.18.

„გენი ქართული“-თან ერთად. აგრძელებს მრავალშვილიანი ოჯახების, როგორც მორალურ ასევე პრაქტიკულ მხარდაჭერას.



### 06.02.18 ბაზი



### 12.03. ბაზი



### 12.04.18. ქველმოქმედება მრავალშვილიანებთან



### ბაზი-08.05.18



### 23.06.18 წყალტუბო

როგორც ვიუწყებოდით: „Frontera Eastern Georgia-ს სოციალური პროექტების დირექტორის ივანე ცხომელიძის და სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის პრეზიდენტის გიორგი ჩახუნაშვილის ორგანიზებით მიმდინარე წელს, თბილისსა საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ჩატარდა უფასო სამედიცინო გასინჯვები, სადაც ასობით პაციენტს გაეწია უფასო სამედიცინო დახმარება. ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით იგეგმება ასეთივე აქცია თბილისსა და ქ. წყალტუბოში, სადაც სხვადასხვა პროფილის კვალიფიციური ექიმები გაუწევენ უფასო დახმარემას ადგილობრივ მოსახლეობას“, სწორედ, ამის გამოძახილი იყო 23.06.18. გასვლა იმერეთში, რასაც შეურთდა „ოტია იოსელიანის ფონდი“ და „მედიქალ სითი“ (გენერალური დირექტორი გია გრძელიძე). აქციაზე უფასო გასინჯვები და სამედიცინო დახმარება გაეწია 10-ობით პაციენტს. პერსპექტივაში დაისახა „მედიქალ სითი“-ის მიე საქველმოქმედო აქციები წყალტუბოს მკვიდრთათვის.

დიდი მადლობა მის ყველა მონაწილესა და ორგანიზატორს.



Director of Social Projects Frontera Eastern Georgia Ivane Tskhomelidze and the President of the Social Pediatrics Protection Fund Giorgi Chakhunashvili organized free medical examinations in different regions of Georgia, where hundreds of patients were provided with free medical assistance. The same action is planned on International Children's Day. In Tbilisi and in Tskaltubo where the doctors of different profile will provide free aid to the local population.

### 29.06.18 ჩუღურეთი



სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდი და რონტერა აგრძელებს საქველმოქმედო აქციებს უკვე თბილისის სხვადასხვა უბნებში, რა თქმა უნდა მხარდამჭერებთან ერთად.

29 ივნისს საქველმოქმედო ფონდი მომავლის გზაში ჩატარდა მორიგი სამედიცინო საქველმოქმედო აქცია ჩუღურეთის რაიონის მცხოვრები ბავშვებისთვის.

ფონდში მოწვეული იყო მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს დარგობრივ აკადემიათა აკადემიკოსი. (პედიატრი, ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგი) ბატონი გიორგი ჩახუნაშვილი.

სამედიცინო გამოკვლევებით ისარგებლა ჩუღურეთის რაიონის გამგებელი ბატონი ზურაბ ჩიკვილაძის მიერ რეკომენდირებულ 30 -დე ბავშვა. აღნიშნულ აქციას თავად ჩუღურეთის გამგებელი ბატონი ზურაბ ჩიკვილაძეც ესწრებოდა. ასევე სამედიცინო მომსახურეობა გაეწია ფონდი მომავლის გზის 40 ბენეფიციარ ბავშვს. სულ უფასო სამედიცინო გამოკვლევის პროგრამით ისარგებლა 70-დე ბავშვმა, რომელიც გადამისამართდნენ თბილისის სხვადასხვა წამყვან კლინიკებში.

ფონდი დიდ მადლობას უხდის ბატონ გიორგი ჩახუნაშვილს უანგარო, კეთილშობილური მისიის გამო. ფონდი მომავლის გზა ასევე განსაკუთრებულ მადლობას უხდის პროექტის ორგანიზატორს ქალბატონ ლალი ელიზბარაშვილს.

### აგვისტო 2018წ- სვანეთი – აქცია მესტიასა და უშგულში



### 1.14.12.18. გორი დევნილთა ვერხვების დასახლება





### 17.12.18 აფხაზეთიდან დევნილ მრავალშვილიან ოჯახებს ბარბარობის დღესასწაული მიულოცეს

ბარბარობის დღესასწაულთან დაკავშირებით აფხაზეთიდან დევნილი სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საქველმოქმედო აქცია „ბავშვის ჯანსაღი კვება და უსაფრთხო ბავშვობა“ (რა იწვევს ტყვიის მაღალ შემცველობას ბავშვის ორგანიზმში, უსაფრთხო სათამაშო) გამართა, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, ღონისძიება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდმა და არასამთავრობო ორგანიზაციამ „გენი ქართული“ გამართეს. ღონისძიებას ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ქეთევან ბაკარაძე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ზაზა ბოხუა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მარინა ონიანი, სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის ხელმძღვანელი, პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი, საქველმოქმედო პროგრამის ხელმძღვანელი, ექიმი პედიატრი, პროფესორი ნინო თოთაძე და პროფესორი რევაზ სულუხია. საქველმოქმედო აქცია კლინიკაში „ბაზი“ გაიმართა.



აქციის ფარგლებში აფხაზეთიდან დევნილ სოციალურად დაუცველ ათ მრავალშვილიან ოჯახს 6 თვიდან ერთ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის ჰუმანიტარული დახმარების სახით საკვები პროდუქტები, ჰიგიენური საშუალებები და სათამაშოები გადაეცა.

ასევე, საქველმოქმედო აქციის ფარგლებში კომპანია „ისი-პარის“ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა ხატია შამუგიამ სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან დედებს საჩუქრები გადასცა.

### 01.2019 თბილისი



### 29.01.19 ბაზი – ერთობლივი აქცია






### 02.02.19. კლია – სენაკში – სენამედი





### 08.03.19. ბაზი

სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდისა და ორგანიზაცია გენი ქართულის მორიგი საქველმოქმედო აქცია 8 მარტის დღისადმი მიძღვნილი თსსუ აფილირებული კლინიკა „ბაზი“-ში. ხელს ვუწყობთ ბავშვთა ჯანსაღ კვებას – ეგიდით ღონისძიების ხელშემწყობი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო – აწარმოე აგროჰაბის ფარგლებში. მადლობა ბატონ გიორგი ავალიანს და ქალბატონ ეკა ჯორბენაძეს აქციის ორგანიზებაში ხელშეწყობისთვის. მადლობა თითოეულ სტუმარს და მონაწილე კომპანიას.



### 29.03.19 EVEX-თან ერთად ტყიბულში





### 03.04.19. მორიგი აქცია ბაზში გენი ქართულთან ერთად













ავერსი AVERSI

# „ავერსი“ – ჯანმრთელობისა და სულიერი სიმშვიდის სადარაჯოზე

კომპანია „ავერსი" წლეულს 25 წლის იუბილეს აღნიშნავს და ამ თარიღს მრავალი წარმატებული პროექტითა და სამომავლო გეგმით ხვდება. დღეს „ავერსის" სახელთანაა დაკავშირებული ფარმაცევტული ქსელი, რომელიც ქვეყნის მასშტაბით 245 აფთიაქს აერთიანებს, ამიერკავკასიაში უმსხვილესი საწარმო „ავერსი-რაციონალი", კლინიკათა ქსელი 22 მაღალტექნოლოგიური სამედიცინო დაწესებულებით, სადაზღვევო კომპანია „ალფა", ქირურგიის ეროვნული ცენტრი და ვახტანგ ბოჭორიშვილის კლინიკა, ასევე, საქველმოქმედო ფონდი, და უამრავი ეროვნული მნიშვნელობის პროექტი, რომელიც საზოგადოების დიდი ინტერესით სარგებლობს.

კომპანიის სტრუქტურასა და მუშაობის პრინციპებზე, მიღწევებსა და მიზნებზე „ავერსის" რეკლამისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელს ლალი ბრეგვაძეს ვესაუბრეთ:

– ლალი, მოგვიყევით, როგორ იქცა „ავერსი" უმსხვილეს ბრენდად, რომელიც ჯანდაცვის სფეროში ლიდერის სტატუსით სარგებლობს და რა არის ამ წარმატების საფუძველი?

– „ავერსი" დღეს მართლაც უდავო ლიდერია. წარმატების საიდუმლო კი იმ პრინციპების ერთგულებაა, რომლებიც „ავერსმა" დაარსების დღიდან განსაზღვრა და რომლის ერთგული დღემდე რჩება. ეს გახლავთ: კანონის პატივისცემა, ხარისხის სტანდარტის დაცვა, მომსახურების მაღალი დონე, უახლესი ტექნოლოგიების დამკვიდრება და ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნვა.

– უფრო დეტალურად გვესაუბრეთ ბრენდის თითოეულ რგოლზე. დავიწყოთ სააფთიაქო ქსელით...

– „ავერსის" პარტნიორები მსოფლიოს უმსხვილესი ფარმაცევტული კომპანიები არიან. მედიკამენტების დისტრიბუცია პირდაპირი გზით, შუამავლების გარეშე ხდება, ამიტომ ფასი შედარებით დაბალი, ხოლო ხარისხი – გარანტირებულად მაღალია. ფარმაცევტული ქსელი თანამედროვე სტანდარტის შესატყვისად გახლავთ მოწყობილი. მუდმივად ხდება უკვე მოძველებული აფთიაქების განახლება-მოდერნიზება. განათება, დარბაზში პროდუქციის განლაგება, ტემპერატურული რეჟიმი – ყველაფერი მომხმარებლის მაქსიმალურ კომფორტზეა გათვლილი. კიდევ ერთი პრიორიტეტი, რაც „ავერსის" სააფთიაქო ქსელს აქვს მომსახურების მაღალი დონე და მართლაც შესანიშნავად მომზადებული, კვალიფიციური კადრებია.

„ავერსი-რაციონალი" ამიერკავკასიაში უმსხვილესი საწარმოა, რომელიც 200-ზე მეტი დასახელების პროდუქტს აწარმოებს და სულ უფრო იზრდება საექსპორტო არეალი. ხარისხი აქაც უპირატესია. ფუნქციონირებს ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც ISO 9001 და GMP EU-ს მოთხოვნების მიხედვით გერმანულ ჰოლდინგ – „TЬV SЬD"-თან ერთად დაინერგა. 2019 წელს ავერსი-რაციონალი მედიკამენტის წარმოების სრული ციკლის დანერგვას გეგმავს.

გერმანული ხარისხის მაკონტროლებელი ორგანიზაციის TЬV SЬD-ის მიერ, ხარისხის საერთაშორისო სერთიფიკატი ISO 9001 „ავერსის კლინიკასაც" მიენიჭა. კლინიკამ სამ წელიწადში ერთხელ უნდა გაიაროს რესერტიფიცირება, რაც ხარისხის მუდმივი გაუმჯობესების გარანტიაა.

„ავერსის კლინიკის" ლაბორატორია პირველია საქართველოში, რომელმაც გაიარა აკრედიტაცია სამედიცინო ლაბორატორიის ხარისხის სტანდარტით _ISO 15189.

ავერსის სახელს უკავშირდება კიდევ ჰოსპიტალური ქსელი „მედალფა", ქირურგიის ეროვნული ცენტრი, ვ. ბოჭორიშვილის კლინიკა.





საზოგადოდ, „ავერსის" პრინციპული პოზიციაა, რომ აპარატურასა და ტექნოლოგიებზე თანხებს არასოდეს ზოგავს. უახლესი დანადგარები და თანამედროვე ინფრასტრუქტურა არის გარანტი იმისა, რომ საქართველოში მცხოვრებ თითოეულ ადამიანს, ქვეყნიდან გაუსვლელად შეუძლია მიიღოს ევროპული დონის, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამედიცინო მომსახურება.

რაც შეეხება სადაზღვევო კომპანია „ალფას", მას ჯანდაცვის კუთხით მოსახლეობის მომსახურების მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

„ალფა" 2009 წელს დაარსდა, თავდაპირველად აქცენტი სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრულ სამედიცინო დაზღვევებზე გაკეთდა, დღეს ის მომხმარებელს სადაზღვევო პროდუქტების სრულ სპექტრს სთავაზობს – ავტო და ქონების დაზღვევა, სამოგზაურო და ჯანმრთელობის, აგრო და სხვადასხვა სახის დაზღვევა, ამასთან თითოეული პაკეტი მომხმარებლის ინტერესებზეა მორგებული.

„ავერსის" სხვადასხვა სეგმენტში 10 ათასზე მეტი ადამიანია დასაქმებული. ბრენდს უნიკალური საკადრო პოლიტიკა აქვს, რაც ბევრი კომპანიისთვის მაგალითად იქცა. თანამშრომლებს მუდმივად აქვთ პროფესიული განვითარების შესაძლებლობა – ტარდება რეგულარული სემინარები, ტრენინგები... ვიწვევთ უცხოელ სპეციალისტებს, ვმონაწილეობთ საერთაშორისო კონფერენციებში... წარმატებულ ავერსელებს კი ფულადი ჯილდოებით, პრემიებით, საზღვარგარეთ შემოქმედებითი მივლინებებით ვასაჩუქრებთ.

– პირადად თქვენთვის რას ნიშნავს „ავერსი"?

– „ავერსი" დიდი ოჯახია არა მხოლოდ ჩემთვის, არამედ თითოეული ავერსელისთვის. ერთი მაგალითით მინდა აგიხსნათ, რას ნიშნავს ავერსელობა: 6 წლის წინ დაარსდა ფონდი „ავერსელები ავერსელებისთვის", რომელიც თანამშრომლების ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას ემსახურება. ჩვენი სურვილია, რომ ცხოვრების მძიმე წუთებში ერთმანეთს გვერდით დავუდგეთ. ეს ტოლერანტული განწყობა კიდევ უფრო განვაზოგადეთ – კომპანია „ავერსის" თანამშრომლები რეგულარულად მონაწილეობენ დონორთა საერთაშორისო კვირეულში და უფასოდ გასცემენ სისხლს.

საქართველოს სოლიდარობის ფონდთან ხელმოწერილი მემორანდუმის თანახმად თანახმად, კომპანიის თანამშრომლები ხელფასიდან ყოველთვიურად განსაზღვრულ თანხას რიცხავენ ფონდის ანგარიშზე.

საზოგადოდ, ქველმოქმედება „ავერსისთვის" დაარსების დღიდან პრიორიტეტად იქცა და ამის მაგალითია საქველმოქმედო ფონდი „ავერსი", რომელიც არაერთ სოციალურ პროექტს ახორციელებს. მათი უმრავლესობა ეროვნული მნიშვნელობისაა.

თითქმის არ არსებობს სეგმენტი, რომელსაც „ავერსის" ქველმოქმედება არ წვდება: ფონდი მუდმივად ეხმარება მზრუნველობამოკლებულ ბავშვებსა და მოხუცებს განუწყვეტლივ ამარაგებს მათ საჭირო მედიკამენტებით. სხვადასხვა პროექტის ფარგლებში ვეხმარებით პენსიონერებს, პედაგოგებს, ომის ვეტერანებს, სასულიერო პირებს, უსინათლოთა და ყრუ-მუნჯთა საზოგადოებებს; ჰუმანიტარულ კავშირ „კათარზისს", 2009 წელს ხელი მოეწერა მემორანდუმს, რომელიც ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის სპორტსმენებს საშუალებას აძლევს, უფასოდ მიიღონ ექიმის მიერ გამოწერილი მედიკამენტები და ყოველგვარი სამედიცინო მომსახურება. მემორანდუმი დღემდე ძალაშია.

გვეამაყება, რომ „ავერსი" მრავალშვილიანი ოჯახების დიდი ქომაგი და გულშემატკივარია – 2005 წლიდან მოქმედებს მრავალშვილიან ოჯახთა დახმარების პროგრამა, რომლის ფარგლებშიც უკვე 5000-მდე ოჯახმა მიიღო დახმარება.

კიდევ ერთ ეროვნული მნიშვნელობის პროექტზე მინდა ყურადღების გამახვილება:

უკვე 9 წელია, „ავერსი" და „ავერსის კლინიკა" ახორციელებენ ერთობლივ პროექტს, რომლის ფარგლებშიც საქართველოს მაღალმთიანი რაიონების მოსახლეობას უტარდება უფასო დიაგნოსტიკური მომსახურება და უფასოდ გადაეცემა პირველადი დახმარების მედიკამენტები. ასეთი აქციები არაერთხელ გაიმართა ყაზბეგში, შატილში, სამცხე-ჯავახეთში, ზემო რაჭაში, თუშეთში, უჯარმაში, გორის, ადიგენისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში, თიანეთში, ხაშურსა და ქვემო ქართლის რეგიონებში, ასევე, სოფელ კოდაში, სადაც 2008 წელს სამაჩაბლოდან იძულებით გადაადგილებული პირები არიან დასახლებულნი.

„ავერსი" მუდმივად ზრუნავს ლეიკემიით დაავადებულ, ასევე, განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებსა და მოზარდებზე – უზრუნველყოფს მედიკამენტებითა და საჭირო სამედიცინო-დიაგნოსტიკური სერვისებით.

საზოგადოების ნდობის მოპოვება იოლი არ გახლავთ, კიდევ უფრო რთულია ამ ნდობის შენარჩუნება. ამიტომ კომპანია მუდმივ პროგრესზე, განვითარებაზე და ტექნოლოგიების დახვეწაზეა ორიენტირებული.

**რედაქცია გულითადად ულოცავს კომპანია „ავერსს" და მის დამფუძნებელს და ხელმძღვანელს ბატონ პაატა კურტანიძეს 25 წლის იუბილეს**










გურამ ნიჟარაძე მშობლებთან ერთად




გურამ ნიჟარაძე

# პროფესორ გურამ ნიჟარაძის დაბადებიდან 90 წელს მიეძღვნა სოციალური პედიატრიის დაცვის ფონდის XXXXII კონფერენცია



პროფესორი გურამ ნიჟარაძე დაიბადა 1928 წლის 20 მაისს ქ. ფოთში, საქართველოში მეტალურგიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, 1937 წელს რეპრესირებულის, დოცენტ ილია რაჟდენის ძე ნიჟარაძის და მარგალიტა ნიჟარაძის ოჯახში.

გურამ ნიჟარაძემ 1944 წელს წარჩინებით დაამთავრა ქ. ფოთის №1 საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიულ ფაკულტეტზე.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიული ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ 1949-1951 წწ. გ. ნიჟარაძე თბილისის ბავშვთა №1 საავადმყოფოს შტატგარეშე ორდინატორია, 1951-1954წწ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ჰოსპიტალური პედიატრიის კათედრის კლინიკური ორდინატორი, ხოლო 1954-1957 წწ. სსრკ ჯანდაცვის სამინისტროს ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის პედიატრიის კათედრის ასპირანტია. 1958 წელს საკანდიდატო დისერტაციის „მასალები ბაქტერიული დიზენტერიის ტოქსიკური ფორმების კლინიკისა და ამ დროს ცენტრალური ნერვული სისტემის პათოარქიტექტონიკის შესწავლისათვის ადრეული ასაკის ბავშვებში" დაცვის შემდეგ ირჩევენ ამავე კათედრის ასისტენტად, ხოლო 1967 წელს – დოცენტად.

1970 წელს გ. ნიჟარაძემ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია „ფილტვის ანთების უხშირესი ფორმების კლინიკურ – მორფოლოგიური დახასიათება ახალშობილ ბავშვებში". 1972 წელს აირჩიეს პროფესორად. 1974 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე (1988 წლამდე) კი განაგებდა ექიმთა დახელოვნების თბილისის სახელმწიფო ინსტიტუტის პედიატრიის კათედრას.

პროფესორი გ. ნიჟარაძე თითქმის 40 წელი იდგა ჯანმრთელობის დაცის სადარაჯოზე, აქედან 35 წელზე მეტი სამედიცინო და პრაქტიკულ სამუშაოს უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. იგი სხვადასხვა წლებში იყო ამიერკავკასიის რკინიგზის, ბავშვთა№1, №3 და რესპუბლიკური საავადმყოფოების კლინიკური ხელმძღვანელი, აგრეთვე თბილისის ბავშვთა №1 პოლიკლინიკის, საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს მთავარი სამმართველოს, №2 ბავშვთა პოლიკლინიკის, თბილისის №1 და №2 სამშობიარო სახლების ახალშობილთა და სეფსისის საწინააღმდეგო რესპუბლიკური ცენტრის ბავშვთა განყოფილების კონსულტანტი.

პროფესორი გ. ნიჟარაძე ავტორია 150 სამეცნიერო ნაშრომის, 13 მონოგრაფიის, მათ შორის „ბაქტერიული დიზენტერია ბავშვთა ასაკში" (თანაავტ. მ. ბოკერია, 1961), „ახალშობილ ბავშვთა ფილტვის ანთება" (1966), „ახალშობილ ბავშვთა ზოგიერთი დაავადებები" (1978), „ფილტვის არასფეციფიკური დაავადებები ბავშვთა ასაკში" (თანაავტ. ი. ფავლენიშვილი, 1980), „გულსისხლძარღვთა სისტემის დაავადებები ბავშვთა ასაკში" (თანაავტ. ი. ფავლენიშვილი, 1987). გ. ნიჟარაძე მონოგრაფიის „ადაპტაციის კლინიკური ასპექტები ახალშობილებში" (ავტორები ე. ნოვიკოვა და გ. პოლიაკოვა, 1978) ქართული გამოცემის რედაქტორია. მისი ხელმძღვანელობით პრაქტიკულ პედიატრიაში დანერგილია მრავალი რაციონალური წინადადება, მეთოდური რეკომენდაცია და გამოგონება ახალშობილის კვლევის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის საკითხებზე.

1984 წელს გურამ ნიჟარაძეს მიენიჭა საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება. მისი მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობის ძირითადი თემის ახალშობილთა სეფსისის ეტიოლოგიის, პათოგენეზის, კლინიკისა და მკურნალობის, აგრეთვე ორგანიზაციის საკითხების შესწავლისა და დანერგვის პროფესორ გ. ნიჟარაძეს მედიკოს მეცნიერ ჯგუფთან ერთად 1985 წელს მიენიჭა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება, ხოლო 1993 წელს სახელმძღვანელოსთვის „ახალშობილთა დაავადებები" პროფესორ გურამ ნიჟარაძეს (სიკვდილის შემდეგ) და პროფესორ ირაკლი ფავლენიშვილს მიენიჭათ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემია.

კათედრაზე მოღვაწეობის პერიოდში გურამ ნიჟარაძემ განსაკუთრებით დიდი მუშაობა ჩაატარა ახალგაზრდა

→



როფესორები გურამ ნიჟარაძე, მერი გელოვანი



პროფესორი გურამ ნიჟარაძე, აკადემიკოსი ირაკლი ფაღავა



როფესორები გურამ ნიჟარაძე, ლევან ავალიანი



პროფესორები გურამ ნიჟარაძე, ირაკლი ფავლენიშვილი



გურამ ნიჟარაძე კოლეგებთან



გურამ ნიჟარაძე თბილისის სახ. სამედ. ინსტიტუტის გამოსაშვები სახელმწიფო გამოცდის თავმჯდომარე



პროფესორები გურამ ნიჟარაძე, იოსებ კვაჭაძე

## მოგონება


პროფესორი გურამ ნიჟარაძე პედიატრთა ყრილობაზე


პროფესორი გურამ ნიჟარაძე, მურმან იაშვილი – შემოვლა


პროფესორი გურამ ნიჟარაძე, ექიმი მერი ტოგონიძე


პროფესორები გურამ ნიჟარაძე – პედიატრიის კათედრა, 1967 წელი


პროფესორი გურამ ნიჟარაძე - შემოვლა

სპეციალისტების აღზრდის საქმეში. მისი ხელმძღვანელობით დაცულია 14 სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციები. მისი ათეულობით მოწაფე დღეს წარმატებით საქმიანობს პედიატრიისა და ნეონატოლოგიის პრაქტიკულ, ორგანიზაციულ, სამეცნიერო, აკადემიურ და სხვ. სფეროებში.

გურამ ნჟარაძე აქტიურად მონაწილეობდა პედიატრთა საკავშირო და რესპუბლიკური ყრილობების, სიმპოზიუმების და კონფერენციების მუშაობაში. იგი იყო პედიატრთა საკავშირო გამგეობის წევრი, საქართველოს პედიატრთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე, პედიატრიაში უნიფიცირებული პროგრამის შემდგენელი საკავშირო საექსპერტო კომისიის წევრი, საქართველოს სსრ ჯანდაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს საპრობლემო კომისიის წევრი, თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტის დიდი სამეცნიერო საბჭოს წევრი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო ხარისხის მიმნიჭებელი სპეციალიზებული საბჭოს წევრი, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს" სამედიცინო ლიტერატურის რედაქციის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ჟურნალ „საბჭოთა მედიცინის" სარედაქციო საბჭოს წევრი. იყო საზოგადოება „ცოდნის" ლექტორი.

პროფესორი გურამ ნიჟარაძე გარდაიცვალა 1988 წლის 9 მაისს.

პროფესორ გურამ ნიჟარაძის და დოცენტ ილია ნიჟარაძის სახელების უკვდავყოფის მიზნით 2014 წლის 2 სექტემბერს თბილისში ორ ქუჩას მიენიჭა პროფესორ გურამ ნიჟარაძისა და დოცენტ ილია ნიჟარაძის (თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს №66 და №76 განკარგულებები) სახელები.

2017 წელს დაარსდა საქართველოს ნეონატოლოგთა ასოციაციის, პროფესორ გურამ ნიჟარაძის სახელობის სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ნეონატოლოგია".

2018 წელს საქართველოს ნეონატოლოგთა ასოციაციის VII საერთაშორისო კონგრესი „უახლესი მიღწევები ნეონატოლოგიასა და პედიატრიაში" მიეძღვნა მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ორგზის ლაურეატის, პროფესორ გურამ ნიჟარაძის 90 წლის იუბილეს.



პროფესორი გურამ ნიჟარაძე – მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები


პროფ. გ. ნიჟარაძე – საქ. სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, 1984წ.



პროფესორი გ. ნიჟარაძე – 1993 წლის (სიკვდილის შემდგომ) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში

# მარიამ გრიგალაშვილი – 100



„მარი ნიკალაევნა" – ახალგაზრობის მუდმივ გვერდზე მდგომი გვახსოვს.

(თსსუ ივ.თარხნიშვილის სტუდენთა სამეცნიერო საბჭო – 80 წლები)

ღმერთმა გაანათლოს მისი სული.

ყველას გაგვახსენდება. 25.01.19. თსსუ-ში ბრწყინვალედ ჩატარებული უსაყვარლესი პროფესორის ქალბატონი მარიამ გრიგალაშვილის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო.







## საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია
Georgian Children's Cardiologists Association

# SOS!

### დროულად ავიცილოთ თავიდან კარდიალური რისკი ახალგაზრდებსა და მოზარდებში

**საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის სარეკომენდაციო ბარათი:**

ბავშვთა და მოზარდთა პრევენციული კარდიოლოგიის განვითარებისათვის აუცილებელია თითოეული ოჯახისათვის გათვითცნობიერებული იყოს ექიმის გარდა, მათი პირადი პასუხისმგებლობა, რაც მდგომარეობს შემდეგში: სასურველია წელიწადში ერთჯერ ბავშვისთვის მინიმუმ ელექტროკარდიოგრაფიული (ე.კ.გ.) გამოკვლევა (მითუმეტეს თუ ოჯახში დატვირთული ანამნეზია: გულის იშემიური დაავადება, ჰიპერტენზია, ათეროსკლეროზი, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ).

აუცილებელია – წელიწადში ორჯერ ე.კ.გ. კვლევა სტაციონარში თერაპიული თუ ქირურგიული პროფილით ნამკურნალევი ბავშვებისათვის.

აუცილებელია ტონზილექტომიის 2,5 თვის შემდგომ კვლევა გულსისხლძარღვთა სისტემის მხრივ, კარდიოლოგის კონსულტაციით და ა.შ.

შეუძლებელია ერთ სარეკომენდაციო წერილში ყველა იმ პრობლემურ საკითხებზე საუბარი, რომლის წინაშეც ჩვენ ვდგებით და ამიტომ, საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაცია მზადაა პასუხი გასცეს მშობელთა და არამარტო მშობელთა ყველა სასურველ შეკითხვებს.

მოდით ერთად ვიზრუნოთ ჩვენს მომავალზე.

კეთილი სურვილებით,

საქართველოს ბავშვთა კარდიოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი გ. ჩახუნაშვილი

ევექსი
სამედიცინო კორპორაცია
„სამედიცინო კორპორაცია ევექსი“
EVEX MEDICAL CORPORATION

### ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგის კონსულტაციის აუცილებლობა

ადვილად დაღლა, საერთო სისუსტე, გულის არეში ჩხვლეტები ან ტკივილი, ჰაერის უკმარისობის შეგრძნება, ტაქიკარდია, არითმია, აუსკულტაციისას შუილები, ანგინებით, ბრონქიტებითა და ვირუსული ინფექციებით ხშირად მოავადე კონტიგენტი, ეკგ მონიტორინგით, ყველა სახის ართრალგია, მაღალი ანტისტრეპტოლიზინი, სინკოპე, ფიზიკურად დატვირთული ბავშვები (სპორტსმენები, მოცეკვავეები), უკვე დადგენილი სარქვლოვანი ნაკლოვანებების და პროლაფსების მონიტორინგი, კარდიო-რევმატოლოგის კონსულტაცია ტონზილექტომიის ჩატარებამდე.

ზემოთ აღნიშნული კონტიგენტისათვის ელექტროკარდიოგრაფიული კვლევის დინამიკაში დაკვირვების აუცილებლობა.

ერთ-ერთი პირველი ქართული პრეპარატები




წაკითხულია კლინიკური ლექციები ბავშვთა კარდიო-რევმატოლოგიის საფუძვლები - (სულ 4-ლექცია), სტუდენტების, რეზიდენტებისა და ექიმებთათვის. აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელთა პედაგოგთათვის. შესაძლებელია მსურველებს პრეზენტაციები ჩაგაწერინოთ.

(„ირ.ციციშვილის სახ. ბავშვთა ახალი კლინიკა“ – ლუბლიანას ქ. 21. დიღომი)
რა თქმა უნდა,როგორც ყოველთვის,
ეს იქნება საჩუქრის სახით.

(სასურველია წინასწარ შემითანხმდეთ – პროფესორი გიორგი ჩახუნაშვილი)







## საქართველოში სკოლის ექიმების უწყვეტი პროფესიული განათლების აკრედიტებული პროგრამა – 2019 სკოლის ექიმს მოეთხოვება

1. სკოლაში ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენაზე ზრუნვა კერძოდ.
- ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განვითარების დინამიკაზე
- სასწავლო პროცესის ჰიგიენა-რეჟიმზე კონტროლი (გაკვეთილების რაოდენობა – ხანგრძლივობა, დასვენებები, ჰაერის განიავება და ა.შ.)
- კვების ჰიგიენა.
- დეზინფექციაზე, დერატიზაციაზე, დეზინექციაზე.
- სანიტარულ-ტექნიკური ნორმების დაცვა (გათბობა, განათება, წყლით მომარაგება, კანალიზაცია, ვენტილაცია).
- სკოლის აღჭურვილობით ჰიგიენური ნორმების დაცვა (მერხი, ლაბორატორიული მოწყობილობები, სპორტ დარბაზის აღჭურვილობა და ა.შ.
- სკოლის სახელმძღვანელოების ჰიგიენური ნორმების დაცვა.
- შენობათა ადგილმდებარეობის ჰიგიენური ნორმების დაცვა სკოლებისკენ.
- და სხვა ჰიგიენური ნორმების დაცვა სკოლაში.

2. სპორტული ტრავმების პროფილაქტიკაზე ზრუნვა.
3. სპორტის სხვადასხვა სახეობით დაკავებულ ბავშვთა და მოზარდთა ეფექტური საექიმო კონტროლის წარმოება.
4. ყოველგვარი I-დი სამედიცინო დახმარების გაწევა.
5. ბავშვთა და მოზარდთა დაავადებების პროფილაქტიკა.
6. უეცარი სიკვდილის თავიდან აცილება (Q-T ინტერვალის გახანგრძლივება, ინფექციურ და ვირუსულ დაავადებათა შემდგომი არითმიის გამოვლენა და ა.შ.).
7. სკოლაში ეპიდრეჟიმზე კონტროლი.







მისამართი:
შ.პ.ს. „ბაზი“ აღდგენითი თერაპიის ცენტრი – ლუბლიანას ქ.N 21 (დიღომი, ძველი ჟვანიას სახ. ბ/საავადმყოფოს ტერიტორიაზე)

ტელ.: 599 52 77 55
E-mail bazi2015@yahoo.com

ჯანმრთელობის დაცვის ორი ფაქტორი, რომელიც უაღრესად მნიშვნელოვანია მსოფლიოს მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის, არის სუფთა წყალი და აცრა.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაცია პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდარი (დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 4.06.03 №122/ნ ბრძანებით)

| ასაკი/ვაქცინა | დაბადების თარიღი | 2 თვე | 3 თვე | 4 თვე | 12 თვე | 18 თვე | 5 წელი | 14 წელი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტუბერკულოზი ბცჟ (BCG) | BCG | | | | | | | |
| პოლიომიელიტი ოპვ (OPV) | | OPV1 | OPV2 | OPV3 | | OPV4 | OPV5 | |
| დიფთერია/ყივანახველა/ტეტანუსი-დყტ (DPT) | | DPT1 | DPT2 | DPT3 | | DPT4 | | |
| ვირუსული ჰეპატიტი B | HepB1 | HepB2 | | HepB3 | | | | |
| წითელა/ყბაყურა/წითურა-(MMR) | | | | | MMR1 | | MMR2 | |
| დიფტერია/ტეტანუსი-დტ (DT) | | | | | | | DT | |
| ტეტანუსი/დიფტერია-ტდ (Td) | | | | | | | | Td |

მთავარი რედაქტორი: გ. ჩახუნაშვილი
მოამზადეს: თ. მიქელაძე, ნ. ჯობავა, გ. ძნელაძე
სარედაქციო საბჭო: – ნ. ბადრიაშვილი, ნ. თოფურიძე, დ. ჩახუნაშვილი, გ. ჩახუნაშვილი, კ. ჩახუნაშვილი, ვ. ცხომელიძე, ზ. შაქარაშვილი, ა. სარჯველაძე, ნ. თოთაძე, ივ. კუგოტი, ლ. ხუციძე, იგ. დოლიძე, დ. ცხომელიძე, დ. ტაბუცაძე.
მისამართი:
ლუბლიანას ქ. 21
ტელ.: 47-04-01
www.sppf.info

გასაყიდად არ გავრცელდება

ISSN 1987-9849